სიტყვა „მარტორქა“ ქართულ ენაში პირველად ბიბლიიდან შემოვიდა, სადაც ის ოთხფეხა, ჩლიქოსან არსებას აღნიშნავდა, შუბლზე ამოსული ცალი რქით. აღსანიშნავია, რომ ბიბლიის თავდაპირველ, ებრაულ ვერსიაში ამ არსების ნაცვლად ნახსენები იყო „ველური კამეჩი“ (reèm), რომელიც სიძლიერის სიმბოლოდ გამოიყენებოდა. ბერძნულენოვან ბიბლიაში, რომელიც თავად ებრაელებმა თარგმნეს ეგვიპტეში, ამ არსების აღსაწერად უკვე გამოიყენება სიტყვა monoceros, რომელიც ქართულად ითარგმნა, როგორც „მარტორქა“ (იობისა 39: 9-10, მეორე სჯულისა 33:17, რიცხუთაი 23:22 და სხვ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ „მარტორქა“ ეწოდება ცის ეკვატორთან მდებარე ერთ-ერთ თანავარსკვლავედსაც, რომლის ლათინური სახელია Monoceros.

ამას გარდა, ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში და ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც მარტორქა უნიკორნი (ლათ. unicorn) ანუ Единорог-ია.

მსგავსი ორაზროვნებაა გერმანულ ენაშიც, სადაც Einhorn აღნიშნავს როგორც აფრიკასა და სამხრეთ აზიაში მობინადრე მასიურ ცხოველს, ისე ცალრქიან მითიურ არსებას.

გარეკანზე გამოყენებული ილუსტრაცია:
ალბერტუს მაგნუსი, *მარტორქა*,
1545 წელს მაინის ფრანკფურტში
გამოცემული წიგნიდან *De animalibus.*

როჯერ ზელაზნი

მარტორქის ნიშანი

ამბერის ქრონიკები

წიგნი 3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2011

“Sign of the Unicorn” Roger Zelazny
„მარტორქის ნიშანი“ როჯერ ზელაზნი

მთარგმნელი: დავით ახალაძე
რედაქტორი: ანდრო ბუაჩიძე
დაკაბადონება: თამარ ბასილია
გარეკანი: თამარ მეტრეველი, თამარ ბასილია

copyright © 1975 by Roger Zelazny, renewed 2003 by Amber Ltd. Co

Published by agreement with the author and the author’s agents,
Ralph M. Vicinanza, Ltd.

საავტორო უფლება თარგმანზე
© 2011 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-032-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

თავი პირველი

მეჯინიბემ გაოცებულმა შემომხედა, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია — ცხენი მივაბარე და ჩემი საზარელი ტვირთი უსიტყვოდ ჩამოვხსენი უნაგირიდან. შორიდანაც ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ლაბადაში გვამი მქონდა გამოხვეული. ცხედარი მხარზე გადავიგდე და მძიმე ნაბიჯით სასახლის უკანა შესასვლელისკენ გავწიე. ვიცოდი, ჯოჯოხეთი მალე მომთხოვდა საზღაურს.

სავარჯიშო მოედანს გვერდი ავუქციე და სასახლის ბაღის სამხრეთი კიდისკენ გავეშურე. რაც უფრო ნაკლებ მოწმეს გადავეყრებოდი, მით უკეთესი იქნებოდა. მართალია, ისედაც უამრავი ვინმე დამინახავდა, მაგრამ მუდამ ხალხმრავალ მთავარ შესასვლელში შებოტება მაინც არ შეიძლებოდა. ჯანდაბა!

ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! თითქოს უამისოდ ცოტა სადარდელი მქონოდა! მართალი უთქვამთ, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ასეა, ვალის აღება თუ იცი, გასტუმრებაც უნდა იცოდე.

ბაღის შორეულ კიდეზე, შადრევანთან რამდენიმე უსაქმური დაყიალობდა. ბუჩქებს უკან, ბილიკზე ორი გუშაგი მიმოდიოდა. ჩემს დანახვაზე გუშაგებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და თვალი ამარიდეს. სწორადაც მოიქცნენ.

სულ რაღაც ერთი კვირის დაბრუნებული ვიყავი. ჯერ ყველაფერი გაურკვევლობას მოეცვა. ამბერის სამეფო კარზე ყველა ეჭვებსა და შიშს შეეპყრო, ეს მკვლელობები კი უფრო გაართულებდა კორვინ პირველის ანუ ჩემს ხანმოკლე და უიღბლო მეფობას.

დროა, გავაკეთო ის, რაც თავიდანვე უნდა გამეკეთებინა. არა, უსაქმოდ არც მანამდე ვმჯდარვარ, უბრალოდ სხვა, უფრო სასწრაფო საქმეებით ვიყავი დაკავებული. ახლა კი...

ბაღი გადავკვეთე, განიერი კიბე ავიარე და სასახლეში შევედი. კარისკაცი სარგადაყლაპულივით გამეჯგიმა და მხედრული სალამი მომცა. ერთ-ერთი საიდუმლო კიბით მესამე სართულზე ავედი და დერეფანში ჩემს ძმას, რენდომს შევეფეთე.

— კორვინ! — მითხრა და ყურადღებით შემათვალიერა, — რა მოხდა? აივნიდან დაგინახე და...

— შენთან შევიდეთ! — მივუგე და თვალით გვამზე ვანიშნე, — სასწრაფოდ უნდა მოგეთათბირო.

რენდომი მერყეობდა და ჩემს ფუთას მისჩერებოდა.

— წამო სხვა ოთახში, — შემომთავაზა მან, — აქ ვაიელია.

— კი ბატონო.

ის პატარა სასტუმრო ოთახში შემიძღვა და კარი ჩარაზა. თავისუფალი ადგილი შევარჩიე და ტვირთი დავდე.

— კარგი, რა გინდა ჩემგან? — ხანმოკლე დუმილის შემდეგ მკითხა რენდომმა.

— ფუთა გახსენი, — მივუგე ქოშინით.

ჩაიმუხლა, გვამს ლაბადის კალთა გადახადა და ისევ მიაფარა.

— მკვდარია, — დაასკვნა, — მერე რა მოხდა?

— წესიერად შეხედე: ქუთუთოები აუწიე, მტევნებზე გამონაზარდები გაუსინჯე, კბილები და თითის სახსრები დაუთვალე... და მიხვდები, რაც მოხდა.

მან ცხედარი უფრო ყურადღებით დაათვალიერა და თავი დამიქნია:

— ჰო, მახსოვს.

— რა გახსოვს?

— ფლორას სახლში...

— მაშინ პირველად ვნახე ასეთი არსებები, — შევაწყვეტინე მე, — შენ გეძებდნენ, მაგრამ რატომ გეძებდნენ, არ ვიცი.

— მართალი ხარ. მაშინ ყველაფრის მოყოლა ვერ მოვასწარი: ამისათვის არ გვეცალა. უცნაურია... ეს ნადირი საიდანღა გამოტყვრა?

წამით შევყოვნდი — ვერ გადამეწყვიტა, ჯერ ჩემი ისტორია მომეთხრო, თუ პირველ რიგში რენდომი გამომეკითხა. ბოლოს მაინც ვამჯობინე, ჩემი ამბავი მომეყოლა — ეს უფრო სასწრაფო საქმე იყო.

ამოვიოხრე, სავარძელში ჩავჯექი და ვუთხარი:

— კიდევ ერთი ძმა დავკარგეთ. კეინი მოკლეს. ცოცხალს ვერ მივუსწარი. ამ არსების ნახელავია. მინდოდა შემეპყრო, მაგრამ არ დამნებდა და გვარიანადაც გამიძალიანდა. ავდექი და ჩავაძაღლე.

რენდომმა წაუსტვინა და მოპირდაპირე სავარძელში ჩაეშვა.

— გასაგებია, — ჩაიჩურჩულა მან.

მომეჩვენა, რომ თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და რომ გამღიმებოდა, ისიც იმავეს იზამდა.

— არა! — მკვახედ მოვუჭერი, — მე არაფერ შუაში ვარ! ეს საქმე რომ ჩემი გაკეთებული იყოს, ჩრდილში დავრჩებოდი და ეჭვის საბაბს არ მოგცემდი.

— მჯერა, მჯერა, — სწრაფად მომიგო რენდომმა, — კეინი სადაა?

— მარტორქის ჭალასთანაა დაფლული.

— ეს ხალხს დააეჭვებს.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— ვიცი. ჯერჯერობით ენაზე კბილის დაჭერა მოგვიწევს. სხვა გზა არ მქონდა, გვამი უნდა გადამემალა. აბა სასახლეში ხომ არ მოვასვენებდი და თავის მართლებას ხომ არ დავიწყებდი? მით უფრო, რომ ჩემთვის ჯერ ყველაფერი უცნობია. სხვათა შორის, ამ საქმეში შენ უნდა გამარკვიო.

— კი ბატონო! თუმცა არ ვიცი, ამას როგორ მოვახერხებ. ოღონდ ჯერ შენ მიამბე ყველაფერი. მითხარი, რა მოხდა?

— დღეს ჯერარდთან ერთად ვისადილე ნავსადგურში. მერე ბენედიქტმა თავისი კარტის დახმარებით ქალაქში დამაბრუნა. საძინებელში ბარათი ვიპოვე — ვიღაცას კარის ქვეშიდან შეეცურებინა. უსტარს ხელს კეინი აწერდა. მარტორქის ჭალაში მთხოვდა შეხვედრას.

— წერილი თან გაქვს?

— კი, — უბიდან შუაზე გადაკეცილი ქაღალდი ამოვიღე და გავუწოდე — აი!

რენდომმა ბარათი ყურადღებით შეისწავლა და უკან დამიბრუნა.

— არ ვიცი. ხელი კეინისას ჰგავს. თითქოს ნაჩქარევად ნაწერია... თუმცა მეეჭვება...

მხრები ავიჩეჩე და წერილი უბეში ჩავიდე.

— მოკლედ, ტყუილად რომ არ მევლო, თავიდან კარტით ვცადე მასთან დაკავშირება, მაგრამ პასუხი არ გამცა. ალბათ თავისი ადგილსამყოფლის გამხელა არ უნდოდა. რაღა უნდა მექნა, ცხენი შევაკაზმვინე და დაბლა დავეშვი.

— ვინმეს უთხარი, სად მიდიოდი?

— კაციშვილისთვის არაფერი მითქვამს. ცხენი ნებაზე მივუშვი და მთელი გზა ჭენებ-ჭენებით ვიარე. მკვლელობა როგორ მოხდა, არ მინახავს. კეინი ყელგამოჭრილი ეგდო ტყის პირას. ცოტა მოშორებით, ბუჩქებში ეს ვაჟბატონი შევნიშნე. გამოვუდექი, დავეწიე და, რომ ვეღარ დავიმორჩილე, მოვკალი. სამწუხაროდ, ერთმანეთის მოკითხვა და გამოკითხვა ვერ მოვასწარით.

— დარწმუნებული ხარ, რომ მკვლელი ესაა?

— რა თქმა უნდა! მისმა ნაკვალევმა კეინამდე მიმიყვანა, ტანსაცმელი კი სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

— იქნებ თავისივე სისხლი იყო?

— შეხედე, სხეულზე ერთი ჭრილობაც არ აქვს — კისერი გადავუმტვრიე. რა თქმა უნდა, ამ ურჩხულის თანამოძმეებთან პირველი შეხვედრა არ დამვიწყებია და ამიტომაც მოგითრიე მისი ლეში. ჰო, მართლა... სანამ შენი ამბის თხრობას შეუდგებოდე, ერთი ესეც ნახე.

უბიდან კიდევ ერთი ქაღალდი ამოვიღე და გავუწოდე.

— ეს ბარათი ამ პირუტყვს ვუპოვე ჯიბეში. ალბათ მკვდარ კეინს ამოაცალა.

რენდომმა წერილი გადაიკითხა, დამიბრუნა და ჩაილაპარაკა:

— კორვინი შეხვედრას სთხოვს კეინს... გასაგებია. აბა, რა გითხრა?

— ჰო, ვერაფერს მეტყვი... თან კალიგრაფიაც, ჩემსას ჰგავს.

— პირველი რომ შენ მისულიყავი, ნეტავ, რა მოხდებოდა?

— ალბათ არაფერი. ვიღაცას უნდა, მკვლელად წარმომაჩინოს და საამისოდ ცოცხალი ვჭირდები. მე რომ შეხვედრის ადგილას კეინზე ადრე მივსულიყავი, გეგმა ჩაეშლებოდა.

რენდომმა თავი დამიქნია:

— შენი ავისმზრახველი აქედან, სასახლიდან უნდა მოქმედებდეს. სხვაგვარად ყველაფერს ასე ზუსტად ვერ გათვლიდა. ვინმეზე ხომ არ გაქვს ეჭვი?

გამეცინა. სიგარეტი ავიღე, მოვუკიდე და ისევ გავიცინე.

— მე სულ ახლახან დავბრუნდი. შენ კი, დიდი ხანია, აქედან ფეხი არ მოგიცვლია. მითხარი, ამჟამად ყველაზე მეტად ვის ვეჯავრები?

— ეგ ძალიან რთული კითხვაა, კორვინ, — მომიგო რენდომმა, — მეტ-ნაკლებად ყველა მომდურებული გყავს. საერთოდ, ჯულიანს დავასახელებდი, მაგრამ ამჯერად ის არაფერ შუაშია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მასა და კეინს წლების განმავლობაში მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ. მათი სიამტკბილობა უნდა გენახა, უერთმანეთოდ ნაბიჯსაც არ დგამდნენ. ჯულიანი უწინდელივით ცივი, წვრილმანი და ბოღმიანია, მაგრამ კეინი გულით უყვარს. არა, ის მას არაფერს ავნებდა, თუგინდ ამ გზით შენთან გამკლავების შესაძლებლობა მისცემოდა. ბოლოს და ბოლოს, რაიმე სხვა საშუალებას მონახავდა.

ამოვიოხრე.

— შემდეგი ვინაა?

— არ ვიცი, მართლა არ ვიცი.

— კარგი.

— როგორ გგონია, ამ ამბავს რა მოჰყვება?

— ცუდადაა შენი საქმე, კორვინ. რამდენიც გინდა იმართლო თავი, ეჭვს მაინც ყველა შენზე მიიტანს.

გვამზე მივანიშნე. რენდომმა თავი გაიქნია:

— იტყვიან, დიდი ამბავი, ანარეკლიდან ვიღაც რეგვენი მოუთრევია, რომ ყველაფერი მას გადააბრალოსო.

— ვიცი. ისე, საოცარია, როგორ მოვახერხე ამბერში ასეთ შესაფერის დროს დაბრუნება?

— რაც მართალია, მართალია, — დამეთანხმა რენდომი, — ერიკის მოკვლაც კი არ დაგჭირვებია. გაგიმართლა.

— გამიმართლა, არა? არავისთვის საიდუმლო არაა, რატომაც დავბრუნდი. მალე ჩემს ჯარისკაცებს ყველა აუმხედრდება: ხალხს აღიზიანებს, რომ თან უჩვეულოდ შეიარაღებული უცხოტომელები მოვიყოლე და შუა ქალაქში ჩავასახლე. აქამდე გარეშე მტრების შიშის გამო